

სამცხე-ჯავახეთის ეკოსისტემები, რუკათშედგენა და შეფასება

რომან მაისურაძე^ა, მარიამ ელიზბარაშვილი^ბ, თამარ ხარძიანი^ბ

ელ-ფოსტა: romani.maisuradze@tsu.ge

^ა გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი, 0179, საქართველო

^ბ ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ. თამარაშვილი ქ. 6. თბილისი, 0177, საქართველო

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მთიანი რეგიონია, რომელიც მთელს კავკასიაში გამოირჩევა ეკოსისტემათა მრავალფეროვნებით. ჩვეულებრივ, მთიანი რეგიონები უფრო მრავალფეროვანია ვიდრე დაბლობი არეალები, შესაბამისად მთის ეკოსისტემებს გააჩნიათ როგორც, მაღალი კონსერვაციული, ისე სულიერი და ესთეტიკური ღირებულება [6]. თანამედროვე პერიოდში აღნიშნული ეკოსისტემები განციდიან სწრაფ ცვლილებას [8]. ეკოსისტემური სერვისების დეგრადაცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის კეთილდღეობას [7]. მდგრადი განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია მთის ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას [9]. ნაშრომში წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთის ეკოსისტემების კვლევის (2008-2017 წწ.) შედეგები.

სამცხე-ჯავახეთის ფართობი 6 413 კმ² -ია. აქ თვალშისაცემია ეკოსისტემათა კონტრასტული ხასიათი, რაც გამომდინარეობს კლიმატური, ლითოლოგიური, რელიეფური, პალეოგეოგრაფიული ფაქტორებიდან და ადამიანის საქმიანობიდან. რეგიონი ჰიფსომეტრიულად ვრცელდება 745-3301 მ დიაპაზონში, შესაბამისად მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური სარტყლურობა.

ეკოსისტემათა მრავალფეროვნებას განაპირობებს: 1. შავი ზღვის გავლენა და დასავლეთ საქართველოს ნოტიო ოლქებთან სიახლოვე; 2. კლიმატის კონტინენტურობის ზრდა აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთისაკენ; 3. მთის ქვაბულის ფარგლებში ნალექების მკვეთრი შემცირება და ზაფხულის მაღალი ტემპერატურები; 4. მაღალი ვულკანური ზეგნები; 5. სიახლოვე ანატოლიის რეგიონთან; 6. პალეოგლაციალური ფაქტორი;

კვლევის შედეგად შეიქმნა ეკოსისტემების რუკა გეოინფორმაციული პროგრამა ArcGIS-ის გამოყენებით. სულ იდენტიფიცირებულ იქნა ეკოსისტემათა 20-მდე ტიპი. საკლასიფიკაციო ერთეულები გამოიყო ბრაუნ-ბლანკეს მიდგომით [5]. გარდა მცენარეული საფარისა იდენტიფიცირებულ იქნა ადამიანის მიერ სახეცვლილი კომპლექსებიც, რომელიც დღეს ადგილობრივი ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია, დამახასიათებელი უნიკალური ბუნებათსარგებლობის ტრადიციითა და ფორმებით.

ლიტერატურა

[1] კეცხოველი, ნ. (1959). *საქართველოს მცენარეული საფარი*. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.

[2] მაისურაძე, რ., ჯამასპაშვილი, ნ., სეფერთელაძე, ზ., ბერუჩაშვილი, ნ., ხარძიანი, თ., და ინაშვილი, ნ. (2012). *საქართველოს ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა*. კატალოგი. თბილისი.

[3] ნიკოლაიშვილი, დ., სართანია, დ., უჯმაჯურიძე, ა., ლალიძე, ლ., ტრაპაიძე, ვ., და

ნანობაშვილი, თ. (2016). *სამცხე-ჯავახეთი: ცნობარი*. თბილისი.

[4] შეთევასური, შ., და ჭელიძე, დ. (2016). *მეხე-ჯავახეთის მაღალმთის ფლორა: მცირე კავკასიონი*. თბილისი: გამომცემლობა „საარი“.

[5] Braun-Blanquet, J. (1932). *Plant Sociology*.

[6] Millennium Ecosystem Assessment, Global Assessment Reports. (2005). *Ecosystems and human well-being: current state and trends: mountain systems*.

[7] Millennium Ecosystem Assessment. (2005). *Ecosystems and Human Well-being: Synthesis*. Washington, DC: Island Press.

[8] United Nations . (1992). *United Nations Conference on Environment & Development. Agenda 21*. Rio de Janeiro.

[9] United Nations General Assembly. (2015). *Transforming our world: the 2030 agenda for sustainable development*. New York.

[10] Беручашвили, Н. Л. (1995). *Кавказ, Ландшафты, Модели, Эксперименты*. Тбилиси.